# ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



განთიადი

86 წელი თქვენთან ერთად!

2017 წელი 30 ნოემბერი № 11 № 8128

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com


## გილოცავთ!



საქართველო მეღვინეობის 8000 წლიანი ტრადიციის მქონე ქვეყანაა და ,,ღვინის აკვანად-,,აც აღიარეს. ეს ფაქტი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც დადასტურ-და, რომლის მიხედვით საქართველოში აღმოჩენილა 8000 წლის წინანდელი ყურძნის წიპწები და აგრეთვე თიხის ჭურჭელი ღვი-ნის დამზადებისა და შენახვისათვის.

გვ 8-9



## კასპის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ მერებაშვილი

გვ2.



## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით ლეონიძე

გვ2.



## არჩევნების შედეგად თვითმმართველობის თემის კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად არჩეული არიან:

გვ3.

## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბ ჯავახიშვილი

გვ2.

## გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა

გვ2.

## პარლამენტარის საჩუქრები ყავთისხეველებს და არა მხოლოდ მათ

გვ3.

## იპოვე შენი მომავალი

გვ5.



## ნოემბერი

გვ5.

## კალენდრის ფურცლებზე

გვ5.

## სასმელ წყალს ორი სოფელი მიიღებს

გვ2.

## სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

გვ2.

გვ4.



“მშობელ მიწაში მიდგას ფესვები”

გვ6.



## ფერწერაში გაცოცხლებული ისტორია



## ქართული ლექსის და ფოლკლორის ზეიმი ომარ ყელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში

გვ6.

## დისკუსია თემაზე

გვ4.

## პირველი პერსონალური

გვ9.



## In vino veritas

გვ8-9.



## სპორტკომპლექსის მოჭიდავეთა პირველი ოქროს მედალი

გვ3.



## კასპის მუნიციპალიტეტის მერი – მანუჩარ მერებაშვილი



დაბადების თარიღი: 06.08.1986 წ.

განათლება:
2007 წელი - დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საინჟინრო მეცნიერების ბაკალავრის ხარისხით;
2009 წელი - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიენიჭა მაგისტრის ხარისხი;
2017 წელი - მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხი;

სამუშაო გამოცდილება:
2005 - 2013 წლები - მუშაობდა შ.პ.ს. "საქართველოს რკინიგზა"-ში სხვადასხვა თანამდებობებზე;
2012 წელი - მიენიჭა დოქტორის ხარისხი და როგორც ასისტენტ - პროფესორი კითხულობდა ლექციების კურსს;
2014 - 2015 წლები - კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელი;
2016 - 2017 წლები - კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2017 წლის 12 ნოემბრიდან არის კასპის მუნიციპალიტეტის მერი.

გამოქვეყნებული მასალა:
სამეცნიერო ნაშრომი "ბიზნესგარემო და სახელმწიფოს როლი მის გაუმჯობესებაში";

ოჯახური მდგომარეობა დასაოჯახებელი.

## სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები



სოფელ ქვემოჭალაში წყალსადენის მაგისტრალის ქსელების და სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს მოეწყო დრენაჟი, სატუმბო სადგური, საქლორატორო და დარაჯის ოთახი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა რეზერვუარს, მოხდა შიდა დაქსელვა. დასრულების პროცესშია მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, რის შემდეგ სოფელი სრულად იქნება სასმელი წყლით უზრუნველყოფილი. პროექტს ახორციელებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს ჰიდროტექნოლოგიურ ჯგუფი. სამუშაოების ღირებულება 876 505 ლარია, რომელიც 70% ცენტრალური, ხოლო 30 % ადგილობრივიბიუჯეტიდან არის დაფინანსებული.

## გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა

20 ნოემბერს გაიმართა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომა გახსნა კასპის №30 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნანა ნონიაშვილმა, რომელმაც შეკრებილებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კასპის საოლქო კომისიის შედეგები კიდევ ერთხელ გააცნო. შემდეგ სხდომის მსვლელობის გაგრძელების უფლებამოსილება, უხუცეს წევრს ვლადიმერ უზნაძეს გადასცა.



ხმათა უმრავლესობით კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულია დავით ლეონიძე, ხოლო მოადგილედ ზურაბ ჯავახიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეულ საკრებულოს წარმოადგენს 34 დეპუტატი.

ახლად არჩეულ საკრებულოს წევრებს მიესალმა და წარმატებები უსურვა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა.

## სასმელ წყალს ორი სოფელი მიიღებს

სოფელ საქადაგიანოში სვანების ქვედა დასახლებაში სასმელი წყლის მოწყობის და სოფელ ხიდისყურის მაგისტრალის და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. მაგისტრალის გარდა, რომლის სიგრძე 1 200 გრძივი მეტრია, მოეწყობა საქლორატორო, დამონტაჟდება ახალი ტუმბო და შეკეთდება არსებული რეზერვუარები. პროექტის დასრულების შემდეგ სვანების ქვედა დასახლების მოსახლეობა მიიღებს სასმელ წყალს და მოხდება მათი ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

სოფელ ხიდისყურში ამ ეტაპზე საუბნო ონკანები დამონტაჟდება. საჭირო წყლის დებეტის შემთხვევაში კი ხიდისყურის მოსახლეობა ანალოგიურად გამრიცხველიანდება. დაფინანსების წყარო- ცენტრალური (95%) და ადგილობრივი ბიუჯეტია (5%), სამუშაოების ღირებულებაა 307 000 ლარი, რომელსაც შპს "ფუძე" ახორციელებს.



## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით ლეონიძე



დაბადების თარიღი: 14.07.1954 წ.

განათლება:
1972 - 1978 წწ. ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

სამუშაო გამოცდილება:
1978 - 1993 წწ. სსრკ და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორი, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი;
1993 - 2000 წწ. საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა მოსკოვში - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;
2001 - 2005 წწ. არაკომერციული პარტნიორობა "ჰორიზონტი"-ს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი;
2005 - წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ ქვეყნებში;
2005 - 2010 წწ. მოსკოვის რეგიონალური მომარაგების სახელმწიფო სამმართველოს გენერალური დირექტორის მოადგილე;
2010 - 2011 წწ. მოსკოვის ოჯახური და ახალგაზრდული პოლიტიკის სახელმწიფო დაწესებულება სასწავლო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე;
2012 - 2016 წწ. ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაცია ბავშვთა და მოზარდთა დახმარების მმართველი დირექტორი;
2016 - 2016 წწ. შპს საკსესის გენერალური დირექტორი.
2017 წლის 03 აპრილიდან 2017 წლის 20 ნოემბრამდე კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;
2017 წლის 20 ნოემბრიდან კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – ზურაბ ჯავახიშვილი



დაბადების თარიღი: 14.08, 1950 წ.

განათლება:
1972-1977 წწ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი - სპეციალობა ინჟინერ - ტექნოლოგი;
სამეცნიერო ხარისხი 1982 წელი - ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

სამუშაო გამოცდილება:
1974 - 1974 წწ. №2 პურის ქარხანა, კონტროლიორი;
1974 - 1983 წწ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ლაბორანტი;
1983 - 1985 წწ. საქარხნო რაიაღმასკომი, განყოფილების გამგე;
1985 - 1991 წწ. საქარხნო რაიაღმასკომი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
1991 - 1992 წწ. სამგორის რაიონის პრეფექტის მოადგილე;
1992 - 1992 წწ. სამგორის რაიონის გამგეობა, თავმჯდომარის მრჩეველი;
1992 - 1992 წწ. კომპანია "ბეტა - იმპექსი"-ს ვიცე პრეზიდენტი;
1992 - 1992 წწ. სახელმწიფო ქონების მართვის საქალაქო სამმართველო, განყოფილების გამგე;
1992 - 1995 წწ. შპს "ექსიმი" გენერალური დირექტორი;
1995 - 1997 წწ. საბაჟო დეპარტამენტი, სამმართველოს უფროსი;
1997 - 1998 წწ. საბაჟო დეპარტამენტი, შიდა ქართლის ოპერატიული ჯგუფის უფროსი;
1998 - 1999 წწ. საბაჟო დეპარტამენტი, საბაჟო რკინიგზა განყოფილების გამგე;
2000 - 2000 წწ. საქართველოს კონტროლის პალატა - სამმართველოს უფროსის მოადგილე;
2000 - 2006 წწ. საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე;
2006 - 2010 წწ. სსიპ - საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის პირველი მოადგილე;
2014 - 2017 წწ. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2017 წლის 20 ნოემბრიდან კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მეცნიერული ნაშრომები:
13 მეცნიერული ნაშრომი;
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## არჩევნების შედეგად თვითმმართველობის თემის — კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად არჩეული არიან:

I. პროპორციული საარჩევნო სისტემით:

№2. ბაქრაძე, უგულავა — ევროპული საქართველო
1. გიორგი ხელაშვილი.

№5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
1. ნუგზარ ნონიაშვილი,
2. ალექსანდრე შაქარაშვილი.

№8. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
1. ილია კიტრიაშვილი,
2. ვახტანგ ხათაშვილი.

№10. შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია
1. ოთარ ქოსაშვილი.

№41. ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო
1. შოთა გზირიშვილი,
2. ზურიკო ჩადუნელი,
3. თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი,
4. დავით ლეონიძე,
5. ზურაბ ჯავახიშვილი,
6. გიორგი ქვრივიშვილი,
7. ოთარ ჭეიშვილი,
8. ხათუნა თათანაშვილი,
9. რამაზ ხიზანიშვილი.

II. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით:

ვალოდია გზირიშვილი (30.01.01. კასპის ქალაქის),
ლევან გახელაძე (30.01.02. კასპის ქალაქის),
ბეგი თათრიშვილი (30.01.03. კასპის ქალაქის),
ქიტესა ხოდელი (30.02. ალაიანის თემის),
გიორგი დარბიაშვილი (30.03. ახალქალაქის თემის),
რამინ ჯანგიშერაშვილი (30.04. ახალციხის თემის),
ალექსანდრე ბიძინაშვილი (30.05. ქვემო გომის თემის),
შოთა ბეგლარაშვილი (30.06. დოესის თემის),
ილია ქამხაძე (30.07. ზემო ხანდაკის თემის),
იოსებ დემეტრაშვილი (30.08. თელიანის თემის),
ნანა წიკლაური (30.09. კავთისხევის თემის),
ნუკრი მიდელაშვილი (30.10. კოდისწყაროს თემის),
მარიამ გზირიშვილი (30.11. ლამისყანის თემის),
ზაზა გუგულაშვილი (30.12. მეტეხის თემის),
დავით ოთარაშვილი (30.13. ოკმის თემის),
ვლადიმერ უზნაძე (30.14. სამთავისის თემის),
დავით მუხიაშვილი (30.15. ქვ. ჭალის თემის),
ზაზა მარჯანიძე (30.16. წინარეხის თემის),
გიორგი მჭედლიშვილი (30.17. ხოვლის სოფლის).

## სპორტკომპლექსის მოჭიდავეთა პირველი ოქროს მედალი

მიმდინარე წლის 27-29 ოქტომბერს ქალაქ ონში ჩატარდა სეულის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო ორგზისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1998-1999 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. ტურნირზე ქართველ სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები.

ასპარეზობა მიზნად ისახავდა საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობისათვის.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენი რაიონის წარმომადგენელმა დანიელ მარქარაშვილმა, რომელმაც წინასწარ შეხვედრებზე ქულათა დიდი უპირატესობით წმინდად დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და ფინალურ შეხვედრაზე

დასასრული გვ-4.

## პროფესიონალების სიურპრიზი ახალგაზრდებს და არა მხოლოდ მათ

სასიამოვნო და სასურველი ემოცია, სიხარული, ამაღლებული განცდა ალბათ, დიდხანს გაჰყვებათ კავთურის ხეობის საჯარო სკოლების საფეხბურთო გუნდების წევრებს და არა მხოლოდ მათ...

კვირას, 5 ნოემბერს თვალადის ახლად აშენებული საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სპორტულ მოედანზე უჩვეულო სანახაობა გაიმართა. საქმე ის გახლავთ, რომ კასპის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი მეზურნიშვილის ინიციატივით, ორგანიზებით და საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მიხეილ ყაველაშვილის მხარდაჭერით თვალადის საჯარო სკოლის საფეხბურთო მოედანზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ვეტერან ფეხბურთელებსა და ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის დაუვიწყარი შეხვედრა გაიმართა.





კავთისხეველი და თვალადელი მოსწავლეების გარდა ამ საჩვენებელ სპორტულ "პაექრობაში" რამდენიმე წუთიანი გათამაშებებით მონაწილეობას იღებდნენ კასპის, სამთავისის, ქვემო გომისა და სასირეთის საჯარო სკოლების ფეხბურთელები.

— მსურდა აქაური მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ლამაზად მოსაგონარი დღე მეჩუქებინა, — განაცხადა კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა, — და ახლა, როდესაც ამის შესაძლებლობა გაჩნდა და თვალადის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ყველანაირ საშუალებას იძლევა, რომ ახალგაზრდობა ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავდეს, გადავწყვიტე მათთვის პატარა სიურპრიზი მომეწყო, თუნდაც ერთი დღე გამეხალისებინა და თვალადში ეროვნული ნაკრების წარმომადგენლები მოვიწვიე.

იმპროვიზებულ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობდნენ ვეტერანი ქართველი ფეხბურთელები, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, გიორგი ლომაია, აგრეთვე, ამ საინტერესო ღონისძიებაზე სტუმრად მყოფი, ცნობილი ქართველი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა და თავად შეხვედრის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ირაკლი მეზურნიშვილი.

თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებმა ლეგენდარულ ფეხბურთელებს ისეთი გასაოცარი, უფრო მეტიც, თამამი "მეტოქეობა" გაუწიეს, რომ მარტო გაუცნობიერებელ მაყურებელს კი არა, სტუმრებსაც კი უკვირდათ, თან სიამოვნებდათ ბავშვების გაბედულება, მობილიზებული და მოტივირებული თამაში, ენერგიული საბრძოლო მუხტი...



მიუხედავად იმისა, რომ ეს არაორდინარული მატჩი კარგა ხანს გაგრძელდა და უფროსთა და უმცროსთა გუნდები ძალიან დაიღალნენ კიდეც, მოედანს ვეღარ ელეოდნენ. აი, ამ სასიამოვნო სპორტული სანახაობის შემდეგ სტუმრებმა ჩვენს ახალგაზრდებს საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადასცეს სპორტული მაისურები და ბურთები, ბოლოს, სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

რ. ქართლელიშვილი.



## ნარჩენების მართვის გეგმის განხილვა



კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის (2018-2022 წწ.) პროექტის განხილვა გაიმართა.

გეგმა მიზნად ისახავს ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, კომერციული ობიექტებისა და ადგილობრივი საწარმოებისათვის ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტიანი სერვისის მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უკანონო ნაგავსაყრელის დახურვა-რემედიაციას;

განხილვის დისკუსიაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, წარმოების ხელმძღვანელები, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN-ის ადგილობრივი კოორდინატორი შიდა ქართლის რეგიონში ირმა კიტრიაშვილი.

პროგრამა "ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში" (WMTR) დაიწყო 2014 წლის 18 მარტს, ხოლო შიდა ქართლში 2017 წლის ივლისში. მას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს Intrrnacional Citi/CountyManagement Associacion (ICMA) CENN -თან ერთად, რომელიც ინიციატივის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციაა.

## სპორტკომპლექსის მოჭიდავეთა პირველი ოქროს მედალი

დასასრული.



დაუპირისპირდა ევროპის ვერცხლის მედალოსან მამუკა ჩაჩუას.

— საინტერესოდ განვითარდა ფინალური მატჩის მოვლენები, — განაცხადა კასპის სპორტული კომპლექსის დირექტორმა გოგი ნიპარიშვილმა, — საქმე ის გახლავთ, რომ ორთაბრძოლის წინ სპეციალისტები და არა მხოლოდ ისინი, გამარჯვებას მედალოსან ჩაჩუას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მეტოქეების შერკინებამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი, მოწინააღმდეგეებმა, როგორც ხშირად ხოლმე, ურთიერთდაზვერვით დაიწყეს, ჩაჩუამ პირველ ხანებში სცადა კიდეც ეფექტური ილეთის ჩატარება, სადაც მარქარაშვილმა ასევე, ეფექტური კონტრილეთით უპასუხა და ოთხი მომგებიანი ქულაც მოიპოვა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ჩაჩუა ბოლომდე ეცადა შეხვედრის შემოტრიალებას და ერთი ქულით დაწინაურდა კიდეც, გადამწყვეტ მომენტში დანიელ მარქარაშვილი არ დაიბნა, მოახერხა ძალების მობილიზება, შეხვედრა წარმართა შემტევ სტილში და მეტოქეს ბრძოლისათვის არანაირი შანსი აღარ დაუტოვა ... მსაჯმა კასპელი ფალავნის გამარჯვების ნიშნად შეხვედრის დასრულებამდე აღმართა ხელი. ამ გამარჯვებით დანიელ მარქარაშვილი შეყვანილია საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და ინტენსიურად ემზადება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გასამგზავრებლად, სადაც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირზე.

## დისკუსია თემაზე



კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა თემატური დისკუსია - "ჯინსების თაობა." დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ დარბაზში იყო ორი თაობა: ისინი, ვინც იყვნენ თანამედროვენი სადისკუსიო თემის უშუალო მოვლენისა და ისინი, რომლებმაც ამ მოვლენაზე იციან ან გადმოცემით, ან იმ მხატვრული ნაწარმოებებით, რომლებიც მიეძღვნა სადისკუსიოდ წამოწეულ მოვლენას - ვინ იყვნენ თვითმფრინავის გამტაცებლები - ბანდიტები თუ გმირები?

სადისკუსიო თემის ირგვლივ გაკეთდა ორი მოხსენება: ლ. მენაბდიშვილმა ისაუბრა ზოგადად ფაქტის, თვითმფრინავის გატაცების, არსზე და მიმოიხილა ის დრო და ვითარება, როდესაც მოხდა თვითმფრინავის გატაცება; ლ. სოზიაშვილმა კი მიმოიხილა ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც შეიქმნა ამ კონკრეტულ ფაქტზე. შემდეგ დაიწყო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ: ნანა მერებაშვილი; პაატა ჩადუნელი; კობა მამულაშვილი; ალეკო ლოპარტელიანი; გიორგი ჩადუნელი; ილია ბესტავაშვილი; გოგა ტყემალაძე; გულო გიგაური; ბეჟან სისაური; თეა ხორბალაძე; მაკა სომხიშვილი; ხატია ბაინდურაშვილი; გურამ ქარქაშაძე; ია ბიძინაშვილი; ლევან თაბუაშვილი; არჩილ ბერიაშვილი; განსაკუთრებით აღვნიშნავთ და გამოვყოფთ, რომ უფროსებს პოლემიკაში ტოლი არ დაუდო კასპის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ გაბოძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი; კასპის საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეები.

ლ. სამხარაძე.

## ფერწერაში გაცოცხლებული ისტორია



გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა თვითნასწავლი მხატვრის დავით ნავროზაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

ღონისძიების დაწყებამდე მუზეუმში შეკრებილი დამთვალიერებელი გაეცნო საგამოფენო გალერეაში წარმოდგენილ ხელოვანის ფერწერულ ტილოებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ და კულტურული ძეგლების ამსახველ მასალას, აგრეთვე, ყურადღებას იპყრობს ავტორის პეიზაჟი, პორტრეტი. გამოფენაზე გამოტანილია მუზეუმის ფონდებში დაცული 14 ფერწერული ტილო. სხვათა შორის, აქვეა წარმოდგენილი კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ლელა პეტრიაშვილის ოჯახის საკუთრებაში არსებული თავად მხატვრის მიერ ნაჩუქარი ნახატი "მონადირის ქოხი".

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, რომელმაც მოკლედ ისაუბრა დავით ნავროზაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მხატვრის შემოქმედებაზე.

— დღეს, აქ, ამ გალერეაში გამოფენილი ნახატები სხვა დროსაც უნახავს დამთვალიერებელს, ჩვენი რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, — განაცხადა სიტყვით გამოსვლისას მხატვარმა იორამ იმედაშვილმა, — და რაოდენ მნიშვნელოვანი გახლავთ ის ფაქტი, რომ ეს ფერწერული ტილოები ყოველთვის იმსახურებდა მნახველებისა და განსაკუთრებით სპეციალისტების სათანადო შეფასებას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის / ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი / ბავშვები, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული ლიტერატურული წარმოდგენა, სადაც გაცოცხლებული იყო მხატვრის ცხოვრება, ის ეკლიანი გზა, რომელიც ახალგაზრდა დავით ნავროზაშვილმა განვლო შუა აზიაში რეპრესირების დროს.

კომპოზიციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ქეთი ჭალისური, მაია თაბუაშვილი, თამარ გოჭოშვილი, ანზორ დალაქიშვილი, თემურ ირემაშვილი, ნინო ბერუაშვილი, მიხეილ სამხარაძე, უჩა გოგოლაძე, ზაზა მუმლაური, ლუკა მერებაშვილი.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯღავაშვილი, პედაგოგი თამარ გაბოძე, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტი ლია მენაბდიშვილი, ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები გურამ ქარქაშაძე და უშანგი მოსიაშვილი, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბატონმა უშანგიმ კასპის მუზეუმს საჩუქრად გადასცა საკუთარ სამხატვრო გალერეაში დაცული, ცნობილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე ციხელაშვილისა და თავისი ხელით შესრულებული მეფეთა პორტრეტების ფოტო-რეპროდუქციები.

მუზეუმს სტუმრობდა დავით ნავროზაშვილის ძმის შვილიშვილი ზვიად ნავროზაშვილი, რომელმაც წაიკითხა ქართლის მოურავის, გიორგი სააკაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ღონისძიების ბოლოს,კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ მოწვეულ სტუმრებს გულითადი მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის, ხოლო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვებს დიდი მონდომებისა და აქტიურობისათვის საპატიო სიგელები გადასცა.

ღონისძიებისათვის ვიდეო რგოლის გაფორმებაზე იზრუნა მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმა ხატია ხორგუაშვილმა.



# ნოემბერი კალენდრის ფურცლებზე



1 ნოემბერი – 72 წლის წინათ (1945) დაიბადა გიორგი ნიპარიშვილი – ვეტერანი მოჭიდავე (თავისუფალი სტილი), ამჟამად კასპის სპორტკომპლექსის დირექტორი;

5 ნოემბერი – დაბადებიდან (1980) 37 წელი შეუსრულდა ვაჟა სიმონიშვილს – სპორტულ ჟურნალისტს, გაზეთ "ლე-



ლოს" მხატვრულ რედაქტორს (იგი კალათბურთის თემაზე დაწერილი რამდენიმე წიგნის ავტორია, მალე გამოსცემს წიგნს ზაზა ფაჩულიაზე);

10 ნოემბერი – 69 წლის წინათ (1948) დაიბადა ომარ (თამაზ) ნავროზაშვილი – ვეტერანი მოჭიდავე, ამაგდარი პედაგოგი (სოფ. ლამისყანა);

10 ნოემბერი – 51 წლის წინათ (1966) ქ. კასპში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ძიუდოში კასპის რაიონისა და კუბის ("თავისუფლების კუნძულის") ეროვნულ ნაკრებებს შორის (მიმდინარეობის დაწვრილებითი აღწერილობა იხილეთ ამავე გაზეთში);

12 ნოემბერი – მძიმეწონოსანმა ბექა ბერძენიშვილმა ქ. სოჭში (რუსეთი) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით დღეს ჭიდაობა სამბოში საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა. დასანანია, რომ მან პირველივე შეხვედრა დათმო მასპინძელ მომავალ ჩემპიონთან, მაგრამ რადგანაც რუსმა ფინალამდე გააღწია, ქართველიც "გაიყოლა," ამან კი შანსი ვერ გამოიყენა;

12 ნოემბერი – დაბადებიდან 56 წელი შეუსრულდა კასპის "განთიადის" საფეხბურთო გუნდის ვეტერანს, მეკარე ომარ ნახუცრიშვილს (გამოდიოდა 1977, 1984-88 და 1992 წლებში, იცავდა, ასევე, ლაგოდეხის, თბილისისა და მცხეთის გუნდების ღირსებას);

13 ნოემბერი – დაბადებიდან 52 წელი შეუსრულდა გია მჭედლიშვილს – ქართული ფეხბურთის ვეტერანს (ნახევარმცველი), ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მოთამაშეს კასპის საფეხბურთო ისტორიაში – მე-20 საუკუნის საუკეთესო ნახევარმცველს რაიონში. სხვადასხვა წლებში თამაშობდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდების შემადგენლობაში – მახარაძეში, სამტრედიაში, ბათუმში, გორში, ხაშურში და, ცხადია, კასპში);

14 ნოემბერი – 13 წლის წინათ (2004) გარდაიცვალა ვალერიან (ვალიკო) იაშვილი – ცნობილი მოჭიდავე და მსაჯი (გადაღებულია რამდენიმე მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმში, სოფელ კავთისხევში 2013 წლის 31 აგვისტოს გაიხსნა მისი სახელობის საჭიდაო ღია არენა);

16 ნოემბერი – დაბადებიდან 52 წელი შეუსრულდა გოჩა ჯარმელაშვილს – კასპის "განთიადის" საფეხბურთო გუნდის ვეტერან მოთამაშეს (მცველი, გამოდიოდა 1990-99 წლებში და 103 მატჩში გაიტანა 8 გოლი);

17 ნოემბერი – 76 წლისა შესრულდა ზელიმხან ("ილო") ილურიძე – კასპის საჭიდაო სკოლის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოჭიდავე (თავისუფალი სტილი) და მწვრთნელი, ღვაწლმოსილი ოსტატი, რომელმაც შეგირდთა თაობები აღზარდა და დღესაც საჭიდაო არენაზე ახალგაზრდული შემართებით ირჯება;

20 ნოემბერი – დაბადებიდან 61 წელი შეუსრულდა მიხეილ მაკეიჩევს – კასპის მე-2 საჯარო სკოლის სპორტის პედაგოგს, კასპის სპორტკომპლექსის კვალიფიციურ მწვრთნელს კალათბურთში, წლების მანძილზე რაიონის ვაჟთა და ქალთა საკალათბურთო ნაკრებების თავკაცს;

21 ნოემბერი – 17 წლის წინათ (2000) გარდაიცვალა ავთანდილ ("კირილე") შეშაბერიძე – ყოფილი წარმატებული სპორტსმენი – მოჭიდავე, მსაჯი და მწვრთნელი, ფიზკულტურის მეთოდისტი (სოფელი კავთისხევი);

23 ნოემბერი – დაბადებიდან 57 წლისთავი შეუსრულდა გიორგი გორგაძეს – საქართველოს რამდენიმეგზის ჩემპიონს ჭიდაობის ეროვნულ სახეობაში, რაიონის ნაკრების წევრს წლების მანძილზე, ქართული ჭიდაობის ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ და ლაზათიან წარმომადგენელს, ამჟამად – მწვრთნელს, რომელიც სოფელ ზემო ხანდაკში აოსტატებს თანასოფლელ ახალგაზრდებს.

ნოემბერში სპორტის მოყვარულებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი – დაიბეჭდა ტელეჟურნალისტისა და ჭიდაობის კომენტატორის, თამაზ გოგიბედაშვილის, წიგნი "ქართული ჭიდაობა, ხალხური". ავტორი გახლავთ ვაჟიშვილი კასპის რაიონში ცნობილი პიროვნებისა – ნუგზარ გოგიბედაშვილისა, ექიმისა და ვეტერანი მოჭიდავისა.




გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გინდათ, გაიგოთ ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

,,ახალი განთიადი,, ელის ხანდაზმული ცხოვრებით თავისუფალ მოყვარულ ფოტო-მხატვრის შემოქმედებას. დაგვიკავშირდით მიმდინარე თანამშრომლობას - ლამაზი თქვენი ფოტო ჩვენს გვერდებზე! გამოგვიგზავნეთ ხარისხიანი და საინტერესო ფოტოები!

## ქვემო ჭალაში ბიბლიოთეკა გაიხსნა

# იპოვე შენი მომავალი

ქვემო ჭალაში, კულტურის სახლის შენობაში ოფიციალურად გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომლის საზეიმო პრეზენტაციას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და განათლების მუშაკები, ქვემოჭალელი მოსწავლეები და ახალგაზრდები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი მუშაკები, დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, პრესისა და ტელევიზიების წარმომადგენლები. პროექტის ინიციატორი გახლდათ ა(ა) იპ "ახალგაზრდობა ერთიანი მომავლისათვის" /დირექტორი ცირა ხელაშვილი/, პროექტის მხარდამჭერები არიან: კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი,მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ბიბლიოთეკების გაერთიანება, პროექტის გენერალური სპონსორია "დიო," სპონსორები: V-TAC Georgia;- Caparol Georgia-კაპაროლი; ფრეგო.



ბიბლიოთეკის პრეზენტაციაზე მობრძანდა სამთავისისა და კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე დამიანე, რომელმაც მიულოცა ქვემოჭალელებსა და არა მხოლოდ მათ კულტურული დაწესებულების გახსნა და დალოცა მოსახლეობა, მრევლი...

– ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ ქვემოჭალაში ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ცენტრის გახსნა, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ, – აღნიშნული პროექტის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვით



არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სპონსორებს, კარგია, რომ აქტიურად მონაწილეობდა კერძო ბიზნესი და ადგილობრივი თვითმმართველობა.

ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ: კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსი ზვიად ზვიადაძე, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, კომპანია "დიოს" აღმასრულებელი დირექტორი თამაზ დაუშვილი.

– ბიბლიოთეკის გახსნამდე რასაკვირველია, ჩატარდა მთელი რიგი ორგანიზაციული და მოსამზადებელი სამუშაოები, – განაცხადა მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ, – სპონსორებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, რომელმაც ფაქტიურად ბიბლიოთეკა უზრუნველყო საჭირო ინვენტარით, შეუძინა წიგნების თაროები, საბონენტო და სამუშაო მაგიდები, საოფისე სკამები, გადასცა კომპიუტერი.

მოკლედ, ახლადგახსნილი ბიბ-



ლიოთეკა მზად არის მიიღოს მკითხველები, იგი მოემსახურება მუნიციპალიტეტში შემავალ გამყოფი ხაზის 7 სოფელს.

ცნობილია ისიც, რომ მიმდინარე წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ "ახალგაზრდობა ერთიანი მომავლისათვის" და კასპის მუნიციპალიტეტს შორის. ეს საქმიანი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

რ. ქართლელიშვილი.

"მშობელ მიწაში მიდგას ფესვები"

# ქართული ლირიკისა და ფოლკლორის ზეიმი ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმში



დაუვიწყარი და ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართა ლეგენდარული მუსიკოსის, ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმში... ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, მუზეუმების გაერთიანება და კულტურის სამსახური, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი". შეხვედრას ესწრებოდნენ კავთისხევის საჯარო სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები.

— მდიდარი, მრავალფეროვანი ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით აქ ხშირად ეწყობა შეხვედრები პოეტებთან და მწერლებთან, პოპულარულ მუსიკოს-შემსრულებლებთან, თეატრალებთან, ცნობილ ადამიანებთან, ეწყობა ლიტერატურული ღონისძიებები, — აცხადებს კავთისხევის სახლ-მუზეუმის დირექტორი ომარ კელაპტრიშვილი /უმცროსი/, — გვინდა, რომ მომავალი თაობა დაინტერესდეს ფოლკლორით, უკეთესად გაეცნოს ქართულ ფასეულობებს, ჩვენს სახელოვან ისტორიასა და წარსულს. ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ სულ ახლახან კავთისხევში გამართული შეხვედრაც... მუზეუმში შეკრებილი საზოგადოება მხურვალე აპლოდისმენტებით შეხვდა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს თემურ ჩალაბაშვილს, რომელმაც სიყვარულითა და მონატრებით გაიხსენა დიდ ომარ კელაპტრიშვილთან გატარებული წლები, მოეფერა კავთისხეველებს, განსაკუთრებით კი, მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს, წაიკითხა შეუდარებელი კავთურის ხეობისადმი მიძღვნილი ლექსები და მუზეუმს საჩუქრად გადასცა ბოლოდროინდელი ლექსების კრებული... პოეტის ლექსების გაცნობის გარდა ამ შეხვედრის მშვენება გახლდათ ფოლკლორული ანსამბლი "გორდელა", რომლის გამოსვლას სტუმარ-მასპინძელი აღტაცებით შეხვდა. აღსანიშნავი გახლავთ ის ფაქტი, რომ ეს სახელოვანი ფოლკლორული კოლექტივი ჩამოყალიბდა 2007 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასში გაერთიანებული არიან უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, მათ შორის: ანიკო გულედანი, თამარ ალადაშვილი, სოფიო ქირია, ნინო კაციტაძე, ქეთი კვირკელია, თეა ქირია, ნათია ხმალაძე, ანსამბლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი გახლავთ მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, სახელგანთქმული ფოლკლორული ანსამბლის, "კელაპტარის" სოლისტი თამაზ მამალაძე. ანსამბლ "გორდელას" რეპერტუარი მოიცავს ქართული, ხალხური მელოდიების ფართო სპექტრს, რომელსაც მივყევართ ადრეულ შუა საუკუნეებამდე და ამასთანავე პირვანდელი სახით ინარჩუნებს საქართველოში საუკუნეების განმავლობაში შემონახულ სულიერებით აღსავსე, უძველესი წარმომავლობის მქონე თვითმყოფად და გამორჩეულ მუსიკალურ კულტურას. "გორდელა" ასრულებს მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს ქართული, ხალხური საკრავების თანხლებით, როგორიც არის მაგალითად: სიმებიანი ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი, ჩასაბერი სალამური, ჭიბონი, ლარჭემი, დასარტყმელი დოლი, დაირა, ასევე გარმონი... ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ტრადიციული მუსიკის არანჟირება ეკუთვნის თამაზ მამალაძეს... არსებობის მცირე პერიოდის მიუხედავად "გორდელამ" სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ანსამბლი არის მრავალი ავტორიტეტული ფესტივალის ლაურეატი. ქართული, ხალხური საკრავების თანხლებით ფოლკლორული მელოდიები შეასრულეს კავთისხევის კულტურის სახლის /დირექტორი ნანა შალიტაური/ ბავშვებმა, რომლებმაც სტუმრების აპლოდისმენტები დაიმსახურეს...





ღონისძიებას ესწრებოდნენ: კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, გაზეთ "ახალი განთიადის" რედაქტორი ნანა მერებაშვილი, საზღვარგარეთ მოღვაწე პოპულარული ქართველი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე. დედაქალაქიდან შეხვედრაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ლაოშვილი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის გივი ჩუგუაშვილის ვაჟი, ზაზა ჩუგუაშვილი. შეხვედრის დამთავრების შემდეგ მუზეუმის მთავარმა მასპინძელმა ქალბატონმა ციმი კელაპტრიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა სტუმრებს და სამომავლოდ კიდევ ერთი საინტერესო ფოლკლორული ღონისძიება დააანონსა.



**დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან 225 წლისთავისთვის**

# დავითის უკრაინელი ჭირისუფალი

ყოველ ერსა და ეპოქას თავისი გამორჩეული შვილები ჰყავს... დავით გურამიშვილი – XVIII საუკუნის ქართველებიდან უფალმა ნიჭით, უბედობით და უკრაინის "შვილობილად" გამოარჩია... მაგრამ ორივე ქვეყანაში საქართველოსა და უკრაინაში (მთარგმნელთა წყალობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშიც) გულშემატკივარი, ჭირისუფალი, მეხოტბე დამფასებელი არ გამოლევია!



მოთარეშე ლეკების ტყვეობიდან თავდახსნილი (1705-1792 წ.წ.) დავით გურამიშვილი, "ქართლის ჭირის" ავტორი, უკრაინამ "იშვილა"... პოლტავის ოლქის ულამაზეს ქ. მირგოროდში 50 წელზე მეტხანს იცხოვრა (1741-1792), იქვე აღესრულა... ბუნებაში, მსოფლიოში ერთადერთი მუზეუმიც – დავითის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმიც ამ ქალაქში არსებობს 1969 წლიდან დღემდე.

ამ მუზეუმში ათეულწლობით მუშაობდა მეცნიერ-მუშაკად საქართველოზე შეყვარებული ლუდმილა როსსოხა (ქალიშვილობაში გვარად ბოროვოკი), სამჯერ იყო საქართველოში: 1974 წელს ქ. თბილისში გურამიშვილთა საგვარეულოს საარქივო მასალებზე, 1978 წელს – კასპში, ლამისყანაში "გურამიშვილობაზე" და 1981 წელს სურამში "ლესიაობაზე"...

ლ. როსსოხა 12 წიგნის ავტორია. არის მკვლევარი, მხარეთმცოდნე, მუზეუმელი 40 წლის სტაჟით, ლიტერატურისმცოდნე, ჟურნალისტი, გენეალოგი... საავტორო წიგნების გარდა სამეცნიერო-ენციკლოპედიურ და სალიტერატურო-ისტორიულ პერიოდიკაში გამოაქვეყნა 450-ზე მეტი პუბლიკაცია. მან ამოიკითხა და გაშიფრა უძველესი წარწერები და მეტად ძვირფასი დოკუმენტები დავით გურამიშვილზე. მან დ. გურამიშვილის დაბადების 300 წლისთავს მიუძღვნა ორტომეული "დ. გურამიშვილის გზებით"... (ავტოგრაფით მაჩუქა, ვთარგმნე ქართულად, ვერ დავსტამბე).

ლ. როსსოხა არის უკრაინის კულტურის დამსახურებული მუშაკი (2009), ლიტერატურულ-სახელოვნებო 3 პრემიის ლაურეატი: ვლ. მალიკის (2002), ა. შევჩენკოს (2005) და ს. ველიჩკოს (2013) სახელობის...

პირადად ჩვენი და კასპი-მირგოროდის მეგობრობა და ეს ფოტოც 40 წლისაა! 2017 წლის 21 ოქტომბერს ლ. როსსოხას 70 წლის იუბილე აღუნიშნეს მირგოროდში (აქედან 30 წელი იკვლევდა დ. გურამიშვილს).

წელთა სიმრავლეს ვუსურვებთ დავითის მემატიანეს.

# უნიკალური ხელოვნების დედა კოლხეთიდან




ქალბატონი ბიეტა აბშილავა ერთადერთია საქართველოში, უნიკალური ხელოვნების იშვიათი ჟანრის დამბადებელი და შემოქმედი.

ბ. აბშილავას "ლაბორატორიაში", გნებავთ მუზეუმი უწოდეთ, თავს იწონებს 400-ზე მეტი ამოქარგული ხელნაწერი – საუკუნეთა სიღრმიდან, ლიტ. მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან გადმოიღო და ოქროს ძაფებით ამოქარგა: გარდაცვლილი პოეტების, მეცნიერთა, კომპოზიტორთა, ღირსეულ მოღვაწეთა, ცოცხალ კლასიკოსთა – თანამედროვეთა კალიგრაფიის ნიმუშები. აბშილავა არის მხატვართა კავშირის (2000 წ.), მწერალთა (2005), ფაზისის აკადემიის (2002 წ.), მრავალი შემოქმედებითი კავშირის წევრი. თანაავტორია მრავალი გამოცემის. არის 5 საკუთარი ლექსთა კრებულის ავტორი. დაჯილდოებულია მარიკა ბარათაშვილის (2009), ანა კალანდაძის (2014), მხატვართა კავშირის (2012) პრემიებით. 83 წლისაა და მუშაობს შ. რუსთაველის ხელნაწერ "ვეფხისტყაოსნის" 200-მეტრიანი აბრეშუმის ამოქარგვაზე. მოაწყო 42 პერსონალური გამოფენა, გამოიცა ამოქარგული ხელნაწერების 2 კატალოგი, 1987, 2017. წელთა სიმრავლე.

თამარ გაბოძე.

ფოტო: უკრაინაში გურამიშვილის მუზეუმის ექსპონატის დეტალი.

# ჯაბა პაპინაშვილი მსოფლიო ჩემპიონია!

საგულისხმო ინფორმაცია სპორტის გულშემატკივართათვის : ჯაბა პაპინაშვილი მსოფლიო ჩემპიონია! კავკასიური ფინალი: ქართველმა ძიუდოისტმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში აზერბაიჯანელი მეტოქე, ნატიგ გურბანლი, დაამარცხა! ხორვატიული (ზაგრებული) ტატამი ძმები პაპინაშვილებისათვის იღბლიანი აღმოჩნდა.

ოქტომბრის დასაწყისში უფროსმა ძმამ, ამირან პაპინაშვილმა (60 კგ.-ის წონის მსოფლიო რეიტინგის პირველმა ნომერმა) ხორვატიის დედაქალაქში "გრანპრის" გათამაშებაში გაიმარჯვა. იქვე უმცროსმა ძმამაც ააფრიალა ქართული დროშა ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე (55 კგ.-ის კატეგორიაში) ჩემპიონობის დასტურად... ამირანს თავისი სპორტული კარიერის ორიენტირად ტოკიოს ოლიმპიადა მიაჩნია, მერე, ალბათ, ის დრო დადგება, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების საწყის წონაში ძმას ძმა შეენაცვლება. აგერ, წარმატება, რომელიც გვარწმუნებს, რომ ჩვენებური ცნობილი მოჭიდავისა და მწვრთნელის, ჯამბულ პაპინაშვილის, ოჯახში ქართული სპორტის (ძიუდოს) საიმედოდ კიდევ ერთი, მომავალი, ოლიმპიელი იზრდება. (სურათი გადაღებულია 2017 წელს კასპის განახლებული საჭიდაო მრგვალი დარბაზის გახსნაზე - ჯამბულ პაპინაშვილი, მისი უმცროსი ვაჟიშვილი - 19 წლის ჯაბა (დაბადებულია 1998 წლის 27 აპრილს) და 4 წლის შვილიშვილი დაჩი, ამირანის ძე, უთუოდ, პაპინაშვილების საჭიდაო ტრადიციების გამგრძელებელი).



ა. კალანდაძე

**დაუვიწყარი თარიღი**

## კასპის ჭიდაობის ისტორიიდან

ზუსტად 51 წლის წინათ, 1966 წლის 10 ნოემბერს, კასპის საჭიდაო დარბაზის მრგვალ არენაზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა კასპელ და კუბელ ძიუდოისტთა ნაკრებებს შორის. პუბლიკას სტუმრები წარუდგინა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა და მწვრთნელმა ვახტანგ კუხიანიძემ. მანვე სამბოში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს, ლავრენტი კაციაშვილს, რაიონის ხელმძღვანელთა და გულშემატკივართა სახელით მიულოცა მოპოვებული ახალი წარმატება - კვლავ გაჩემპიონება და დაბადების 40 წლისთავი, რის დასტურად გადასცა სამახსოვრო საჩუქარი. შეხვედრას მოემსახურა ნაცად მოჭიდავე-მსაჯთა ბრიგადა: ქრისტეფორე ნინიაშვილი (მთავარი მსაჯი), ანზორ კიკნაძე და ანზორ მარტყოფლიშვილი.

პირველ წყვილში, უმჩატესთა წონაში, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ალბერტო ტორესი და სამბოში ოსტატობის კანდიდატი ჯემალ ხორბალაძე. გაიმარჯვა ქართველმა.



სპორტის ოსტატის გიორგი ნიპარიშვილისა და ამერიკის კონტინენტის ჩემპიონის ლაიუს გასტონის ორთაბრძოლა უშედეგოდ დასრულდა (ზავი ქულების ჩათვლაში არ შედიოდა). გამარჯვებულები ვერც ჯემალ გუთნიაშვილ - რაფაელ პოლოსა და გივი ბალხამიშვილ - რობერტო სანჩესის დაპირისპირებებში გამოვლინდა. კასპელთა გუნდში შეყვანილმა თბილისელმა მიხეილ გოგავამ შებოჭვით დაჯაბნა იბრაგიმ ტორესი და მასპინძლები დაწინაურდნენ - 2 : 0.

შემდეგ ვალერიან იაშვილმა წმინდად გაიმარჯვა უმბერტო მედინასთან, ხოლო გოდერძი ნონიკაშვილმა ქულების უპირატესობით სძლია ფელისხელა კრუსს. ტოლსწორნი აღმოჩნდნენ მძიმეწონოსანი მეტოქენი - შოთა გულიაშვილი და ხერანდო სორინი, ისინი უშედეგოდ გაიყარნენ. ასევე, უშედეგოდ დაზავდნენ სპორტის ოსტატი კობა ტატულაშვილი და ამერიკის ჩემპიონი რონალდო სანჩესი. ამრიგად, დაფიქსირდა საბოლოო ანგარიში 4 : 0.

კასპელ მოჭიდავეთა ნაკრების 51 წლის წინანდელი შემადგენლობიდან, სამწუხაროდ, სადღეისოდ გარდაცვლილები არიან ვალერიან იაშვილი, გივი ბალხამიშვილი, შოთა გულიაშვილი და კობა ტატულაშვილი, ასევე თბილისელი მათი მეგობარი მიხეილ გოგავა. ეს ისტორიული შეხვედრა და მისი პერიპეტიები ბევრ სტაჟიან კასპელ გულშემატკივარს კარგად ახსოვს.

(ფოტოზე აღბეჭდილია სტუმარი ლაიუს გასტონისა და მასპინძელი გიორგი ნიპარიშვილის დაჭიდების მომენტი, ჩანს, ორივეს განუზრახავს რისკიანი ილეთის შეთავაზება მეტოქისათვის).

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებსა და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ზევრი იცით, ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გავრცელებულ საზავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ვინ მოსთვლის კიდევ რაზე...

## ... თუ მშობლებს არ სცალიათ

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს.

## საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებამ აღიარა, რომ მეღვინეობა მსოფლიოში საქართველოდან გავრცელდა



საქართველო მეღვინეობის 8000 წლიანი ტრადიციის მქონე ქვეყანაა და "ღვინის აკვანად"-აც აღიარეს. ეს ფაქტი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც დადასტურდა, რომლის მიხედვით საქართველოში აღმოჩენილა 8000 წლის წინანდელი ყურძნის წიპწები და აგრეთვე თიხის ჭურჭელი ღვინის დამზადებისა და შენახვისათვის.

ვაზი საქართველოს კულტურის და ეროვნების განუყოფელი ნაწილია, ღვინო კი ქართველებისათვის ღირსების და აღორძინების სიმბოლოა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლადჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევით დასტურდება, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

2014 წლიდან, ასოციაცია "ქართული ღვინო"-ს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს "ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა". მასში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო კოორდინატორი ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, დოქ. დავით მაღრაძე.

პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის გადაჭრილი გორის და შულავერის გორის არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით აღადგინეს ძვ.წ. ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში ელიზაბეტა ბორარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად 14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

### ღვინოშია ჭეშმარიტება

# In vino veritas

სხეული გენეტიკურ მეხსიერებას ატარებს — ამ მიწაზე ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ხარობდა ვაზი. აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამოკვლევით, სიტყვა ღვინო ყველა ენაში ქართულიდან შევიდა, რადგან ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი ვაზის ჩამოყალიბებისა, ეგვიპტეს, ასურეთს, მესოპოტამიას, შუა და მცირე აზიასთან ერთად, სწორედ სამხრეთ კავკასია და საქართველო გახლდათ, საიდანაც ეს სასმელი უახლოეს თუ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. დღეს კი მკვლევართა უმეტესობა შესაშური ერთსულოვნებით აღიარებს საქართველოს ღვინის სამშობლოდ.

შესაქმეში ნათქვამია: ნოემ დაასხა ვენახი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ველური ყურძნისგან კი არ დაწურა დამათრობელი სასმელი, არამედ თავად გააშენა ვაზის ბაღი, ანუ ვენახოვანი. სახელდობრ როდის დაიწყო კულტურული ვაზის მოშენება საქართველოში, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ზუსტი ცნობა არ არსებობს. თუმცა ძვ. წ. 50000 წლით დათარიღებული არაველური ვაზის წიპწები, მცხეთის, თრიალეთის, ალაზნის ველის, ბიჭვინთის, მესხეთის მატერიალური კულტურის ყოფითი ნივთები — ფიალები, თასები, მცირე ქანდაკებები, რომლებიც თითქმის 3000 წელზე მეტს ითვლის, უთუოდ ადასტურებდნენ, რომ ღვინო არა მხოლოდ ყოველდღიურობის, არამედ რიტუალური მისტერიების ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

ძველი ბერძნები, თურმე, ღვინოში არომატულ დანამატებს, სხვადასხვა ხის ქერქს, ნუშსა და ზეითუნის ზეთსაც კი ურევდნენ, ქართველები კი ვენახს ტყის პირას აშენებდნენ, რათა, ოდესღაც ტყიურ ვაზს არსებობა გაადვილებოდა, თანაც მზის მცხუნვარებასავით შეესრუტა ველური ხილისა და ხე-მცენარეთა სურნელი. შემდეგ, როცა ვენახი ტყეს დაშორდა, ვაზის მწკრივების თავში და ბოლოში ქართველი რგავდა მუხას, რცხილას, ყველანაირი ჯიშის ხილს, და, დამეთანხმებით, რომ ასეთი ხეხილის ნაყოფი განსაკუთრებით გემრიელია.

ძველი წელთაღრიცხვის ათასწლეულის დასაწყისში, როცა ასურელებს საქართველოზე გამოულაშქრიათ, ერთიანად გაუნადგურებიათ ვენახები — ქართული ტომების ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო.

ძველი ბერძენი გეოგრაფები თუ ისტორიკოსნიც დაუზარლად ჰყვებიან ქართული ვაზისა და ღვინის შესახებ. მათ შორის, ქსენოფონტეს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 431 წ.) ცნობით, საქართველოში მეტად კარგი ვენახები ყოფილა გაშენებული, ხოლო ყურძნის უხვი მოსავლისაგან დაწურულ ღვინოს კი, ამოთხრილი მიწის სიღრმეში ჩაშენებულ ქვევრებში ინახავდნენ.

თეიმურაზ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს გაბაასებიდან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ორპირ ანუ ორკედლიან ქვევრებს ამზადებდნენ, თიხის ზედაპირს შიგნიდან ცვილით ამოლესავდნენ. ამგვარად შენახული ღვინო ათწლეულების განმავლობაში ინახებოდა, ძველდებოდა და ღირსებაც ემატებოდა.

თუ ყურადღებას მივაქცევთ, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ საქართველოს სხვადასხვა არეკუთხეების ბუნების აღწერილობას, აღმოვაჩენთ, რომ ბარის მიწების შესახებ ყველგან გვხვდება ეპითეტები: ვენახოვანი, ხილიანი. ვახუშტი იმასაც აღწერს, თუ სად როგორი წარჩინებული ღვინო დგებოდა. დამპყრობელთა სჯულისა და ეროვნების განურჩევლად, ყველა მათგანი უპირველესად ვენახს მიადგებოდა და უმოწყალოდ კაფავდა, ძირკვავდა, ცეცხლს უკიდებდა. მაგალითად თემურ ლენგმა ისე დაუნდობლად მოაოხრა ვენახები, რომ ქართლსა და კახეთის იმ მიწებზე, რომლებსაც მან გადაუარა, ვაზის ხელახალ მოშენებას საუკუნეები დასჭირდა. მიუხედავად ამისა, ქართველი მუდამ აშინაურებდა და კულტურულად აქცევდა უამრავ ჯიშს, რომელთა რიცხვი 500-მდე ადის. მათი უმეტესობისაგან დამზადებული ღვინოები უნიკალურია, იმით, რომ სწორედ ამ მიწაზე, ამ ლანდშაფტში, მოვლის, დაწურვისა და დაყენების ნიშანდობლივი წესების მიხედვითაა მიღებული.

თავადი ლევან ჯორჯაძე — ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მეღვინე და ამპელოლოგი, 1876 წელს დასტამბულ წიგნში "მევენახეობა, ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება" ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ საქართველოდან ყურძნის ჯიშების წაღება და ევროპაში დამკვიდრება მუდმივად ხდებოდა. გარკვეული დროის შემდეგ უცხო მიწაზე გახარებული ვაზიც პირველსახეს კარგავდა, უცხოვდებოდა, სხვანაირ ღვინოს იძლეოდა. ევროპაში გამგზავრებული ქართველები მოწონებულ ნერგებს აქეთ ეზიდებოდნენ, გაახარებდნენ, სხვანაირ ღვინოს მიირთმევდნენ.

ათწლეულის შემდეგ კი, ჩამოტანილი ვაზი ქართული ჯიშისა აღმოჩნდებოდა ხოლმე, ამ მიწაზე სახეს იბრუნებდა. ზოგჯერ კი, დიდწილად ემსგავსებოდა ქართულ ჯიშებს. თვით სხვადასხვა ქართულ სოფელში მოსული ერთი და იგივე დასახელების ვაზისაგან განსხვავებული ღვინო დგება. მაგ. საფერავი ბევრ სოფელში ხარობს, მაგრამ საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის საფერავი გამორჩეულია, ამიტომაც საქვეყნოდაა განთქმული...

ასევეა მანავის მწვანე, ნაფარეულის რქაწითელი, ბახვის ჩხავერი და ა.შ.

საზოგადოდ ვაზის გაშენებისათვის საუკეთესო ადგილად მზით განათებული ფერდობი ითვლება. თუმცა, მხოლოდ რელიეფი და ჰავა კი არ განსაზღვრავს ღვინის გემოს, სურნელსა და განსხვავებულ შემადგენლობას, არამედ, ვენახის ზრდის არქიტექტურა. სხვადასხვა სახით ნაშენ ვაზს ოდითგან სხვადასხვა სახელი ჰქონდა საქართველოში.

ივანე ჯავახიშვილი ამ სახელწოდებებს ბიბლიის ძველქართულ თარგმანებშიც პოულობს. ვაზის დამაგრება-გაშვების წესების მიხედვით ვენახსაც სხვადასხვა სახელი ეწოდებოდა. მარტო ამ აგებულებათა მრავალფეროვნებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რაოდენ ღრმა და მეცნიერული იყო ქართველთა დამოკიდებულება ღვინის, როგორც ფენომენისადმი, რადგან ყველა ამ სახეობას გაშენების თუ დაყენების თავისებური წესი და ტექნოლოგია ახასიათებს: დაბლარი, ანუ ხელნაშენი, მაღლარი, დობილო, ბაბილო, ოლიხნარი, ხარდნის ვენახი, ტალავერი, ანუ ხეივანი, განრთხმული ვაზი...

ვენახის გაშენება-მოვლას, ღვინის დაყენება-შენახვას ყველა ყმაწვილკაცი მამა-პაპათაგან სწავლობდა. ეს გახლდათ საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნა, რომლის მიხედვითაც უმცირესი დეტალებიც კი გასაკვირი სიზუსტით იყო გათვლილი. ამ წესებს ფლობდნენ და მოწაფეებს გადასცემდნენ ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე განსწავლული ბერ-მონაზვნები, რადგან თითქმის ყოველ ქრისტიანულ სავანეში გაშენებული იყო ვენახი და ქვევრმარანი. ერთ-ერთი პირველი ქართული უნივერსიტეტის, იყალთოს აკადემიის სასწავლო კურსში კი ეს დარგი მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდა.

საქართველოში ყოველთვის უანგარიშო რაოდენობის საუკეთესო ღვინო მზადდებოდა. მაგალითად, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის თხრობით, არ არსებობდა ისეთი ქვეყანა, სადაც იმდენ და იმგვარი ხარისხის ღვინოს აყენებდნენ, როგორც საქართველოში, საიდანაც ეს სასმელი უხვად მიჰქონდათ უცხოეთში. არქანჯელო ლამბერტი კი, იტალიელი მისიონერი, ქართველების სუფრასთან სხდომის ხანგრძლივობასა და შესმული ღვინის რაოდენობას გაუოცებია.

რაც შეეხება ქარხნული წესით ღვინის დამზადებას, ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მეღვინეები ზემოხსენებული ლევან ჯორჯაძე და მუხრანელი ბაგრატიონი გახლდნენ. ამ უკანასკნელმა თავად ააშენა ქარხანა ქართლში და შვედი მეღვინეც მოიწვია სამუშაოდ... მას აქეთ მუდმივად იზრდება წარმოებული ღვინისა და იმ ადამიანთა რიცხვი მსოფლიოში, ვინც ქართულ ღვინოს მიირთმევს...

ყურძნის ყოველი ჯიში და ღვინის ყოველი სახეობა ამ ქვეყნის მიწის, მზისა და ჰაერის, ადამიანის აზროვნებისა, შრომის და სიყვარულის შვილები არიან; XX საუკუნის II ნახევრის აღწერილობით საქართველოში ვაზის 500-ზე მეტი ჯიში

გაგრძელება მე-9 გვ.

## ღვინოში ჭეშმარიტება

# In vino veritas

დასასრული.

აღრიცხეს–80 კახური, 72 ქართლური, 75 იმერული, 50 რაჭულ-ლეჩხუმური, 72 მეგრული, 53 გურული, 58 აფხაზური, 52 აჭარული და სხვა ჯიშები. მათი უმეტესობისაგან ჩინებული, სრულიად უნიკალური თვისებების ღვინოები მზადდება. ყოველი მათგანი სასიამოვნო, თრობის განსხვავებულ ხარისხსა და განუმეორებლად ამაღლებულ შეგრძნებებს იწვევს... მაგრამ... “მრავალნი — ჩინებულ და მცირედნი რჩეულ” — ესენია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ჩინური



(ნიშნავს საჩინოს, საუკეთესოს), თავკვერი, ცოლიკოური, კრახუნა, ჩხავერი, ოჯალეში, ალექსანდროული, ალადასტური, ციცქა და სხვა, რომელთაგან სხვადასხვაგვარი — ბუნებრივად ნახევრადმშრალი, მოტკბო, სუფრის მშრალი სამარკო, ორდინალური თუ არაორდინალური, შემაგრებული თუ სადესერტო ღვინოები მზადდება. ამ ჯიშების უმეტესობა მზვარე, ანუ მზიან ადგილებში ხარობს, მათგან დაწურული ღვინო მაგარი, გემოთი გამორჩეული და სურნელოვანია. როგორც მეცნიერები ამბობენ ქართული ღვინის უნიკალურობის კიდევ ერთი მიზეზი მჟავიანობის, შაქრიანობის და სპირტიანობის განსაკუთრებულ შერწყმაში მდგომარეობს.

რქაწითელი ქართული ყურძნისათვის დამახასიათებელ მრავალ თვისებას ატარებს: უძლებს ზამთარს, ოქროსფერ-მოყვითალო და მოყავისფრო, წვნიანი მტევნები საჭმელად ტკბილი და გემრიელია, მისგან დგება შესანიშნავი ღვინო; მარგებელი და სურნელოვანი ყურძნის წვენი; კეთდება საუკეთესო ჩამიჩი, დადუღების შედეგად კი, მიიღება შეუდარებელი ბადაგი, რომელიც დიდხანს ინახება და მისგან საჩურჩხელე თათარაც იხარშება. რქაწითელისგან იწურება განსხვავებული სასუფრე თეთრი ღვინოები პორტვეინის, მადერის, ორდინალური და სხვა. მოყვითალო ქარვისფერიდან ღია ყავისფერამდე — ულამაზეს ტონებში მერყეობს. ქარხნული წესით ხშირია მასთან ხიხვისა და მწვანეს შერევაც. (მწვანეც უნიკალური კახური ჯიშია და მხოლოდ მისი მტევნებისგან დაყენებული მოყვითალო, მომწვანო ღვინო მსუბუქი სურნელით, ნაზი, ხალისიანი, ჰარმონიული გემოთი გამოირჩევა. ხიხვიც, აღმოსავლეთ საქართველოს, ერთ-ერთი მშვენიერი და გემრიელი ჯიში, დამოუკიდებლადაც იძლევა ოქროსფერ, სურნელოვან მაგარ ღვინოს. ორივე მათგანს თავისი ადგილი მყარად აქვს დამკვიდრებული ქართულ ღვინოწარმოებაში.)

რქაწითელის ნერგები საქართველოდან სხვადასხვა ეპოქებში მრავალგზის გაუტანიათ და, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი აბორიგენული ჯიშია, მშობლიური კახეთის გარდა, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყანაში, შორეულ უზბეკეთსა და ყაზახეთშიც კი გაახარეს.

საფერავიც ერთ-ერთი სიმბოლოა ქართული მეღვინეობისა. მისგან იშვიათი გემოსა და სურნელის, ძვირფასი ღვინო მზადდება. მუქლურჯი მომელნისფრო შეფერილობის ნაზკანიანი, თითქოს ცვილით დაფარული საშუალო ან დიდი ზომის მტევნები საკვებად ისე წარმატებით არ გამოიყენება, როგორც რქაწითელი, თუმცა, ჩემი აზრით ძალიან გემრიელია. ღვინო კი, რომელსაც კახეთში წითელს ეძახიან, სხვა კუთხეებში კი, შავს, ნამდვილად ღვთიურია. ტრადიციულად, სწორედ იგი იხმარებოდა ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული საიდუმლოს ზიარების აღსრულებისას. უკანასკნელ ხანს მეცნიერებმა საფერავში უამრავი სამკურნალო თვისება აღმოაჩინეს, განსაკუთრებით გულსისხლძარღვთა სისტემის მაკურნებელი. დაძველების პერიოდების მიხედვით იგი განსხვავებულ სურნელებასა და თვისებებს ამჟღავნებს. ხშირად სხვა ჯიშის ყურძენს ნაწილობრივ საფერავს დაამატებენ ხოლმე, რომ ღვინო გაკეთილშობილდეს.

ქართლის ვენახებს დარეჯან დედოფალი თურმე გულმოდგინედ უფრთხილდებოდა. აქ გავრცელებულ მრავალ ორიგინალურ ჯიშთაგან ჩინური, თავკვერი და გორული მწვანე გამორჩეულ ღვინოებს იძლევა, მუქი ლურჯი ფერის თავკვერის მტევნები მისართმევადაც სასიამოვნოა და მისგან სურნელოვანი სუფრის ღვინოც იწურება. წარჩინებული მშხეფარე ღვინოები მზადდება ჩინურისა და გორული მწვანეს შერევით ღია ჩალისფერი, მომწვანო ელფერით, ნაზი და ჰარმონიული გემოთი.

თუ კახურ, და ნაწილობრივ ქართლურ ღვინოს თანდაყოლილი პიკანტური სიმწკლარტე დაჰკრავს, იმერულ, მეგრულ, რაჭულ, აფხაზურ და აჭარულ ღვინოებში ხილის სურნელთა ერთობლიობა და სიმსუბუქე სჭარბობს. მაგალითად, ცოლიკაურის, ციცქასა და კრახუნას იმერული ჯიშებისაგან ლამაზი ჩალისფერი, ექსტრაქტული, რბილი, გამაგრილებელი მჟავიანობის მქონე ღვინო მზადდება. იმერული წესით, ტკბილის დუღილითა და ნაწილობრივ ჭაჭის დამატებით დაყენებული ღვინოები ნაკლებალკოჰოლურია და მათ რაჭულ თეთრასთან ერთად, ხშირად საქეიფოსაც უწოდებენ. ბუნებრივად მოტკბო ღვინო მზადდება



ასევე ჩხავერის ჯიშის ყურძნისაგან, რომელიც იზაბელასთან ერთად, უხვად ხარობს აფხაზეთს, აჭარასა და გურიაში. ჩხავერისაგან დამზადებულ ღია ჩალისფერ ღვინოს, დახვეწილი და სასიამოვნო გემო აქვს ხილის ნაზ არომატთან ერთად. მათგან შუშხუნა ღვინოებსაც აყენებენ. წითელი, განუმეორებელი მარწყვის ტონების მატარებელი, ლალისფერი ღვინო მზადდება ოჯალეშისაგან, რომელიც ცაგერსა და სამეგრელოშია გაშენებული. ისიც ქართული მოტკბო ღვინოების რიგს ამშვენებს თავისი მდიდარი, ჰარმონიული გემოთი. ასევე ლალისფერია უსახელოურიც განსაკუთრებულად ნაზი, ტკბილი ღვინო, მაგრამ მოტკბო ღვინოების დედოფლად მაინც უძვირფასესი წითელი ღვინო ხვანჭკარა ითვლება, რომელიც რაჭული ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშებისაგან მზადდება. მას ხავერდოვნება და განვითარებული ჯიშური არომატების ნაზავი ახასიათებს...

შეუძლებელია, ასეთ კულტურულ-ესთეტიკურ მოვლენაზე საუბრისას, უკმარისობის გრძნობა არ დაგეუფლოს; თანაც ამ მცირე ნარკვევის მიზანიც ხომ, გარკვეულწილად, ამბიციურია: გაახსენოს მკითხველს, რომ ქართული ვაზი და ღვინო მარადისობის თემაა — უსასრულო და დროში განფენილი, ბუნებისა და ადამიანის გონიერი ნებისყოფის ანარეკლი; თავად არის პათოსი და ამაღლებულ განცდათა სათავე. მეტიც, ვაზი და ღვინო რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილ ფენომენთან ერთად, ზოგადეროვნული იდეის ნაწილია და თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, იმედია, რომ ისიც მასთან ერთად იცოცხლებს.

მარინა ყიფშიძე.

**ავტორი მადლობას უხდის ბატონებს: სანდრო და ნოდარ ფოცხვერაშვილებს დახმარებისათვის.**

# პირველი პერსონალური



ლაშა ზუბიაშვილის ფოტოები კარგადაა ცნობილი ჩვენი მკითხველისათვის, მისი “უსტარაული” თუ “რკონი” გაზეთის პირველ გვერდზეც იხილა მკითხველმა. ჩვენ ვთანამშრომლობთ ნიჭიერ შემოქმედთან და პირველი პერსონალური გამოფენაც მნიშვნელოვანი წარმატების აღიარებად მიგვაჩნია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო მიერ მოწყობილ ფოტოკონკურსში გაიმარჯვა, რომლის დევიზი იყო “რას წაიღებდი ევროპაში.” ნომინირებულ ფოტოს სახელწოდებაა - “პატარა საქართველო.” ამ წარმატებისათვის ავტორი სპეციალური ლიტერატურითა და საკუთარი ფოტოების ალბომით დაჯილდოვდა. გაზაფხულზე ლაშა კიდევ ერთი რეზონანსული კონკურსის: “ტყეების საერთაშორისო დღე” მონაწილე გახდა.



დარბაზში ახალგაზრდა ფოტოგრაფის, ლაშა ზუბიაშვილის, პირველი პერსონალური ფოტოგამოფენა მოეწყო. გამოფენის მხარდამჭერი კასპის მუნიციპალიტეტის მერია გახლდათ. ფოტოგამოფენის თემატიკა იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობები, უმეტესი ნაწილი კი კასპის რაიონის ტურისტულ ობიექტებს ასახავდა. 2016 წელს ლაშამ “ევროპული ალიანსი - საქართველოს” კონკურსში წარდგენილი 1.000 ნამუშევრიდან - საუკეთესო ოცეულში ლაშას ფოტო “ქვათახევის ტყე” მოხვდა.

ლაშა ზუბიაშვილს უამრავი ფოტო აქვს გადაღებული. ამჯერად ფართო საზოგადოებამ გაიცნო ჩვენებური ნიჭიერი შემოქმედი.

ვულოცავთ ლაშას პირველ პერსონალურ გამოფენას და ველოდებით ახალ წარმატებებს!



## განთიადი

ახალი

კასპის პირვე-ლი საჯარო სკოლის პედკოლექტივი და-ბადების დღეს ულო-ცავს პედაგოგ მზია ამბროსოვას.

ძვირფასო მზია, გილოცავთ და-ბადების დღეს, გისურ-ვებთ კავკასიურ ჯან-მრთელობას, წინსვლას, წარმატებას. იმედია, მომავალშიც ჩვეულად გულისხმიერი და მზრუნველი იქნები, როგორც მოსწავლეე-ბის, ასევე კოლეგებ-ის მიმართ.

### გილოცავთ!



## ფოტო-მატიანე

,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგ-აზეთო ფოტო-მატიანის შესაქმ-ნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვე-ნი კვალი ჩვენს მატიანეში! გა-მოგვიგზავნეთ საინტერესო და ახ-ალი ფოტოები!

## შეუცნობელის კვალდაკვალ

### ახსნილი, უცნაური, შეუცნობელი

ადამიანი სიც-ოცხლის განმავლობა-ში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიც-ით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხ-ართ მომსწრე აუხსნე-ლი, უცნაური, შეუცნო-ბელი მოვლენისა შეგი-ძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდ-ეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილე-ბა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიი-სათვის, მკითხველი-სათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი.” ყველა მინიშნების უკან შეიძლე-ბა იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვეხმაუ-რეთ!



### გამოგვეხმაურეთ!

მუნიცი-პალიტეტის ტერი-ტორიაზე არსე-ბული ყველა საჯა-რო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუ-ალებით ფართო მკითხველს გააც-ნოს საკუთარი სკ-ოლის ისტორია და აწმყო.

2016-2017 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკო-ლის მიღწევები, გაზეთის ფურ-ცლების მეშვეო-ბით საჯარო გან-ათლების თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სა-მომავლო გეგმე-ბი, ყველას გააც-ნოთ ღვაწლმოსი-ლი, ახალ-გაზრდა თუ ახ-ალბედა პედა-გოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გსურთ...

გააცანით თანარაიონელებს თქვენი კურს-დამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ აქ გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი.

გამოგვეხმაუ-რეთ!






















შეგიძლია-თ, მოგვა-წოდოთ თქვენი შვილების, შვილიშ-ვილების ორიგი-ნალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამო-ქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

მკითხველს შეუძლია მოგვაწო-დოს სასურველი შე-მეცნებით-გასართო-ბი მასალები.

დაინტერე-სებულ მკითხველს შეუძლია მოგვმარ-თოს მისამართზე – კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

### “ფრთიანი ფრაზები”

ბავშვობაში ნათქვამი “ფრთიანი ფრაზები” დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ “ოქროს ფონდში,” თაო-ბიდან თაობას გადაეცემიან და ყვე-ლა შინაურული თავყრილობის მთა-ვარი სახალისო საამბობნი არიან. შეინ-ახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში “მაკნატუ-ნა” და გახდით რუბრიკის სტუმარი.

**გამოიწერეთ**

**ახალი განთიადი!**

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია (თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი) სამძიმარს უცხადებს სამთავისის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს ღვაწლმოსილი პედაგოგის გიული თხილავას გარდაცვალების გამო.**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76